1 მარტი

დიდმარხვის I კვირადღე, «ა», [I], ი

2020 ვვირა

დაბ 2,7-9; 3,1-7; ფს 50; რომ 5,12-19; მთ 4,1-11

უფალს, შენს ღმერთს ეცი თაყვანი მთ 4,10

იესომ უარი განაცხადა ეშმაკის შემოთავაზებულ „სამეფოებზე", რომლებითაც იგი ძალით დაიმორჩილებდა და თავის ჭკუაზე ატარებდა ხალხებს. მას გულში ედო მამის სიტყვა, რომელიც გვთავაზობს მშიერს გავუტეხოთ ჩვენი პური, არ წავართვათ გასამრჯელო მშრომელს, ვეძიოთ ყველას სიკეთე. იოლია, მამის ნაცვლად თაყვანი ვცე ძალაუფლებას. ერთხელ ერთი საქმე, რასაც წლების განმავლობაში ვასრულებდი, წამართვეს. გაბრაზება და აღშფოთება ვერ დავმალე, ეს კი ნათელი ნიშანი იყო იმისა, რომ საკუთარ დიდებას ვეთაყვანებოდი და ვემსახურებოდი და არა უფალს.

2 მარტი

2020 ორშაბათი

ლევ 19,1-2.11-18; ფს 18; მთ 25,31-46

სიმართლით განსჯი შენს მოყვასს ლევ 19,15

ამ სიტყვით მიმართავს ღმერთი
თავისი ერის მსაჯულთ: უბრძანებს
მათ მიუკერძოებლობას, უკრძალავს
ადამიანისადმი სიმპატიით, ანდა მისი
ძალაუფლებით ხელმძღვანელობას და
აფრთხილებს, არ გაირყვნენ ქრთამით,
რადგან მსჯავრი ღმერთს ეკუთვნის.
სულო წმიდაო, შენ იყავ მათი
და ჩვენი შემწე!

3 მარტი

დიდმარხვის I კვირა [I] ი

2020 სამშაბათი

ეს 55,10-11; ფს 33; მთ 6,7-15

დედის დღე

მამამ თქვენმა უწყის, რა გჭირდებათ მთ 6,8

გმადლობ, იესო, რომ გვასწავლი სასოებით აღვსილ ლოცვას, როგორც შვილები სთხოვენ კეთილ და სამართლიან მამას, რომელმაც უწყის ყველა ჩვენი გასაჭირი. შენ გვეხმარები გვიყვარდეს იგი და ვთხოვოთ მას, რაც არსებითია ჩვენი ცხოვრებისათვის: შენი პური, მოტევება, მიტევების უნარი და ეშმაკის ძალაუფლებისგან თავისუფლება.

4 მარტი

დიდმარხვის I კვირა [I] ი

წმ. კაზიმირი, +1484

2020 ოთხშაბათი

იონ 3,1-10; ფს 50; ლკ 11,29-32

აქ არის იონაზე დიდი ლკ 11,32

იესო მოგვიხმობს მოქცევისაკენ, გვთხოვს მივეზომოთ მის სიტყვას და მივატოვოთ ყოველივე, რაც არ შეეფერება მას. ამგვარად შევძლებთ ღმერთის გაცნობას ნამდვილად. ღვთის სიტყვის მოსასმენად ერთი დღის მდუმარებაში გატარება ძალზე რთული იყო ჩემთვის, და მაინც ძალღონეს არ ვიშურებდი, რათა ბოლომდე მიმეყვანა ეს დღე. რამოდენიმე წლის გამძლეობის შემდეგ ახლა ვმადლობ იესოს ამ შესაძლებლობისათვის.

5 მარტი

დიდმარხვის I კვირა [I] ი

2020 ხუთშაბათი

ესთ 4,17 ი.ρ-ρ.αα-ιιι

6 მარტი

დიდმარხვის I კვირა [I] ი

(22.II) წმმ. ცხრანი ყრმანი კოლაელნი, VIს, წამებულნი

2020 პარასკევი

ეზეკ 18,21-28; ფს 129; მთ 5,20-26

შეურიგდი შენს მეტოქეს სასწრაფოდ, ვიდრე მასთან ერთად გზას ადგახარ მთ 5,25

მადლობა, იესო, შენი ყოველი
სიტყვისათვის, რომელიც გვანიჭებს ღვთის
სიყვარულსა და სიბრძნეს. შენ გნებავს,
რომ თანაზიარება და თანხმობა სუფევდეს
ადამიანებში, და საამისოდ გვასწავლი,
ვიყოთ მდაბალნი და დამყოლნი,
ერთურთში მშვიდობით.
მოდი, სულო წმიდაო, შენ ძალგიძს
ჩვენთვის ხელის გამართვა.

7 მარტი

მოხს.: წმ. პერპეტუა და ფელიციტა, წამ. +202/203

2020 შაბათი

რფლ 26,16-19; ფს 118; მთ 5,43-48

დღეს შენ ისმინე, როგორ განაცხადა უფალმა, რომ შენი ღმერთი იქნება იგი

რფლ 26,17

როგორ შემიძლია გამოვხატო, რომ ღმერთი ჩემი ღმერთია? პირველი, რაც მახსენდება ესაა, ხვალ მის კვირადღეს წმიდავყოფ. აღვნიშნავ მის აღდგომას, წმიდა წირვაზე წავალ, ჩემი ოჯახის წევრებთან ერთად ვიქნები სადილზე და საღამოს კი სამრევლოში წავალ ღვთის სადიდებელ ლოცვაზე. ამგვარად საშუალებას მივცემ მას მიმართოს ჩემი ცხოვრება თავისი მამისაკენ, რათა გავიხაროთ მისი სიყვარულით.

8 მარტი

2020 კვირა

დიდმარხვის II კვირადღე, «ა», [II], ი

დაბ 12,1-4; ფს 32; 2ტიმ 1,8-10; მთ 17,1-9

ქალთა საერთაშორისო დღე

უფალო, კარგია ჩვენთვის აქ ყოფნა! მთ 17,4

დღეს კვირადღეა, უფლის დღე; შეგვიძლია დავაგემოვნოთ მისი სიყვარული, ჩვენს შორის მისი ცოცხალი ყოფნა. იგი მოგვიხმობს წმიდა წირვაზე, სადაც საკუთარ თავს გვიძღვნის ჩვენ თავის სიტყვაში, თავის ხორცსა და სისხლში, მის მორწმუნე ძმებთან შეხვედრაში. მადლობა, უფალო იესო, რა კარგია შენთან ყოფნა, შენთან ერთობაში, იმ სამი მოციქულის მსგავსად, რომლებმაც მთაზე იხილეს შენი ნათელი.

9

2020

მარტი

დიდმარხვის II კვირა [II] ი

წმ. ფრანცისკა რომაელი, მონაზონი, +1440

ორშაბათი

დან 9,4-10; ფს 78; ლკ 6,36-38

არ გავუგონეთ შენს მსახურებს დან 9,6

დანიელი მოტევებას სთხოვს ღმერთს.
აღიარებს, რომ მთავარი ცოდვა,
სხვა მრავალი ცოდვის წყარო,
წინასწარმეტყველთა ხმისათვის ყურის
არ დაგდება და დაუმორჩილებლობაა.
ესენი ხომ ღვთის სახელით საუბრობენ.
არ უნდა ვენდოთ ჩვენს გონიერებას,
არც ჩვენს მსჯელობას, არამედ მუდამ
ვისმენდეთ: ღმერთი კვლავაც ადამიანების
საშუალებით გვაწვდის თავის სიტყვას,
გვამცნობს თავის გულისნადებს.

10 მარტი

დიდმარხვის II კვირა [II] ი

2020 სამშაბათი

ეს 1,10.16-20; ფს 49; მთ 23,1-12

ვინც თავს დაიმდაბლებს, ამაღლდება მთ 23,12

იესო გვამზადებს თავისთან შესახვედრად. ამპარტავანი, ქედმაღალი, ამბიციური, პატივმოყვარე და აღიარების მაძიებელი არაა მზად და ვერც შეხვდება იესოს, გულით მშვიდსა და მდაბალს. გინდა, რომ მისი მოსვლისას, თქვენი შეხვედრა სიხარულით იყოს აღსავსე? შეეცადე მიიღო დამცირებები, გიყვარდეს შეუმჩნევლად დარჩენა, გახსოვდეს, რომ მისი შემწეობა გჭირდება.

II

მარტი

დიდმარხვის II კვირა [II] ი

2020

ოთხშაბათი

იერ 18,18-20; ფს 30; მთ 20,17-28

ძე კაცისა არ მოსულა, რათა მისთვის ემსახურათ, არამედ, რათა თავად ემსახურა მთ 20,28

იესოს ცხოვრება მთლიანად გაღებული ძღვენია. ჩემი ცხოვრებაც, მასთან შეერთებული, ძღვნად იქცევა. ეს ძღვენი მეც მიმიღია და მამა უძღვნის მას თავის სხვა შვილებსაც. მაშ, სიხარულით ვემსახურები, ჩემს გვერდით მყოფთა და შემხვედრთა გასაჭირზე ყურადღებით და მივეძღვნები უბრალოებით, შეუმჩნევლად.

ხუთშაბათი

იერ 17,5-10; ფს 1; ლკ 16,19-31

კურთხეულ არს კაცი მოსავი უფლისა იერ 17,7

უფალზე მინდობილი, მაშინაც კი, როცა სატანჯველი არ აკლია, მშვიდობითაა. იესო ერთ მაგალითს გვთავაზობს დღე-ვანდელი სახარებით: უღატაკესი ლაზა-რე ესავს უფალს. მისთვის აზრი არა აქვს ქვისგულა ადამიანის იმედს. უფლის სასო-ება ეხმარება მას არც შურს მისცეს თავი და არც სიძულვილს, იცხოვროს მშვიდად თავის სიღატაკეში და შემდგომში იხაროს ნამდვილი ნეტარებით.

13 მარტი

დიდმარხვის II კვირა [II] ი

2020 პარასკევი

დაბ 37,3-4.12-13.17-28; ფს 104; მთ 21,33-43.45-46

გააძევეს ვენახიდან და მოკლეს მთ 21,39

მამა ენდობა ადამიანებს, მაშინაც, როცა ისინი ამას არ იმსახურებენ. განუწყვეტლივ ენდობა მათ. ბოლოს და ბოლოს იპოვის მათაც, ვინც მის ძეს მიიღებენ, შეიყვარებენ, ემსახურებიან და დაჰყვებიან. დღეს მამა გენდობა შენც და მენდობა მეც.

14 მარტი

დიდმარხვის II კვირა [II] ი

2020 შაბათი

მიქ 7,14-15.18-20; ფს 102; ლკ 15,1-3.11-32

წყალობის მოყვარულია მიქ 7,18

მიქა წინასწარმეტყველი აღიარებს ღვთის, გულმოწყალე მამის რწმენას, რომელსაც ახარებს სიყვარულის გაცემა მათთვის, ვინც მასთან აფვარებს თავს და თავმდაბლად სთხოვს შემწეობას. მეც და შენც დარწმუნებულნი ვართ მის მამობრივ და დედობრივ სიყვარულში და ვესავთ მას!

15 მარტი

2020 კვირა

დიდმარხვის III კვირადღე, «ა», [III], ი

გამ 17,3-7; ფს 94; რომ 5,1-2.5-8; იო 4,5-42

მე ვარ, შენ რომ გესაუბრები იო 4,26

სამარიელი ქალისთვის იესოსთან,
საუკუნეებიდან ნანატრ მესიასთან
შეხვედრა, მოულოდნელი და ყოვლად
განსაკუთრებული საჩუქარი იყო.
მაგრამ დღეს იესო შენც გეუბნება:
„მე ვარ, შენ რომ გესაუბრები; მე ისა ვარ,
ვისაც მუდამ მოელოდი, და არ კი იცოდი“.
აი, იგი აქაა შენთან, გესაუბრება, მთელ
თავის სიყვარულს, თავის ხსნას გიძღვნის.
მის გარეშე ვეღარ იცხოვრებ!

16 2020

მარტი

დიდმარხვის III კვირა [III] ი

(3.III) წმ. იოანე IV (V) ოქროპირ კათალიკოსი, +1048

ორშაბათი

ყმეფ 5,1-15; ფს ყ1-ყ2; ლკ 4,24-30

აჰა, დავრწმუნდი, რომ მთელს ქვეყანაზე მხოლოდ ისრაელშია ღმერთი ყმეფ 5,15

ნაამანი, არამეველთა ჯარის კეთროვანი სარდალი, რომელიც მეფემ ერთი ებრაელი მონა გოგონას რჩევით გაგზავნა ისრაელში, განიკურნა ელისე წინასწარმეტყველის მიერ, მას შემდეგ რაც გაუგონა და დაჰყვა მის სიტყვას. განკურნებული აღიარებს, რომ ეს ისრაელის ღმერთის ნამოქმედარია. მისი გული მოექცევა, რათა მხოლოდ მას სცეს თაყვანი.

17 2020

მარტი

დიდმარხვის III კვირა [III] ი

წმ. პატრიციუსი, ეპ., +~461

სამშაბათი

დან 3,25.34-43; ფს 24; მთ 18,21-35

ნუ მოგვიშლი შენს მოწყალებას დან 3,35

ამგვარად ლოცულობს დანიელი
თავისი ერისათვის, რომელიც ცოდვის
გამო განიცდის ტყვეობის სიმწარესა და
დამცირებას. დღეს მთელი კაცობრიობა
იტანჯება ცოდვის მიზეზით; მამა იყენებს
ჩემს და შენს ლოცვას, რათა მიანიჭოს
მიტევება, მშვიდობა და ახალი სიცოცხლე,
რათა მიანიჭოს იესო.

18 2020

მარტი

დიდმარხვის III კვირა [III] ი

წმ. კირილე იერუსალემელი, ეპ. და მოძ. +386

ოთხშაბათი

რჯულ 4,1.5-9; ფს 147; მთ 5,17-19

ისმინე, ისრაელო, წესები და სამართალნი, რომელთაც მე გასწავლით თქვენ რჯულ 4,1

ღმერთი, რომელიცაა მამა, მიმართავს თავის ერს, ხოლო დღეს ჩვენც, ქრისტიანებს, სიყვარულით სავსე ამ სიტყვებით. სად ვიპოვით გზამკვლევ მითითებებს? მივაგნებთ მათ იესოს სიტყვებში, რომელსაც ეკლესია გვიწვდის ყოველდღე. თუკი ხორცს შევასხამთ მათ, გვექნება სიხარული და წმიდა ცხოვრება.

19

2020

მარტი

წმ. იოსები,
ნეტ. ქალწ. მარიამის მეუღლე დდ, [ს], თ

ხუთშაბათი

2მეფ 7,4-5.12-14.16; ფს 88; რომ 4,13.16-18.22; მთ 1,16.18-21.24
(ან, ლკ 2,41-51)

არლის კათოლიკური ეკლესიის დღეობა

ნუ გაშინებს შენი ცოლის, მარიამის მიღება მთ 1,20

„ნუ გაშინებს“; წმირად გვწვდება ეს სიტყვა ბიბლიაში. მას, ვინც ეძებს ღვთის ნებას, რათა შეასრულოს ის, წმიდა იოსების დარად, ექნება ნათელი და მშვიდობა: ესაა მამის ძღვენი, რომელმაც უწყის ყოველივე და რომელსაც ვუყვარვართ.
წმიდაო იოსებ, მადლობა, რომ კვლავაც ლოცულობ ჩვენთვის და სრულიად ეკლესიისათვის მარიამთან ერთად.

20 მარტი

დიდმარხვის III კვირა [III] ი

2020 პარასკევი

ოს 14,2-10; ფს 80; მარ 12,28-34

განვკურნავ მათ ღალატს ოს 14,5

ერთ დედას არ ეყო გამბედაობა ორსულობა ბოლომდე მიეყვანა. რის შემდეგაც მის სულში დაისადგურა წყვდიადმა და შიშმა. ყოველ ჯერზე, როცა ესმოდა თავისი დაქალების საუბარი ბავშვებზე და მათთან დაკავშირებულ გეგმებზე, ის ტკივილს გრძნობდა: ამ ბავშვებს შორის ხომ მისი ბავშვიც უნდა ყოფილიყო. ამგვარად მამა ზეციერმა მისცა მას მონანიების შესაძლებლობა. მან აღიარა თავისი ცოდვა და მიიღო ძალა პატიება ეთხოვა მისთვის იესოს სახელით. ახლა, მადლობის ნიშნად ჩადგა მის სამსახურში.

21 მარტი

დიდმარხვის III კვირა [III] ი

2020 შაბათი

ოს 6,1-6; ფს 50; ლკ 18,9-14

სიყვარული მწადია
და არა მსხვერპლი ოს 6,6

ოსეა წინასწარმეტყველის ამ სიტყვებს უმეორებს იესო იმათ, რომლებიც ასრულებენ რჯულის მცნებებს, თუმცა უსიყვარულოდ. წმიდა პავლეც იმეორებს ამ სიტყვებს, როცა ამბობს, რომ თუ არ ვცხოვრობთ უანგარო სიყვარულით, ვერაფერი გვარგებს. ყოველი ჩვენი მოქმედება იბადებოდეს სიყვარულიდან და სიყვარულისკენ მიემართებოდეს.

22 მარტი

2020 კვირა

დიდმარხვის IV კვირადღე, «ა», [IV], ვ

1მეფ 16,1.4.6-7.10-13; ფს 22; ეფ 5,8-14; იო 9,1-41

მწამს, უფალო! იო 9,38

ეს დაბადებიდან უსინათლო კაცი, ღატაკი, გარიყული, სხვათა შორის, თანამემამულეთა რელიგიური ცხოვრებიდანაც, საკუთარ სხეულზე განიცდის იესოს გულმოწყალე სიყვარულს.
იესო, შენ გაანათე ჩემი წყვდიადიც: ვერა გხედავდი; შენი სახის ხილვა მაღირსე.
ახლა გენდობი და მოგენდობი მხოლოდ შენ ერთს და მადლობას გიძღვნი!

23

2020

მარტი

დიდმარხვის IV კვირა [IV] ი

(10.III) წმ. ღირსი იოანე ხახულელი, მონაზონი, X-Xსს;
წმ. ტურიბიუს მონგროვეხოელი, ეპ., +1606

ორშაბათი

ეს 65,17-21; ფს 29; იო 4,43-54

გაიხარებთ და ილხენთ უკუნისამდე იმით, რასაც მე შევქმნი ეს 65,18

ესაია წინასწარმეტყველი საუბრობს ახალ მიწაზე, საფიქრალისა და გასაჭირისაგან თავისუფალ მიწაზე. რა მიწა იქნება? როდის ვეღირსებით? საბოლოო განკითხვის შემდეგ? ის უკვე ახლავეა აქ იმათთვის, ვინც ღვთისადმი და მოყვასისადმი სიყვარულში ცხოვრობს; უკვე ახლავეა აქ იმათთვის, ვინც იესოს ცოცხალი რწმენით ეგებება, როგორც მეფის მოხელე, განკურნებული შვილი რომ დახვდა სახლში.

24 მარტი

დიდმარხვის IV კვირა [IV] ი

2020 სამშაბათი

ეზეკ 47,1-9.12; ფს 45; იო 5,1-16

ადექ, აიღე შენი საკაცე და იარე [იო 5,8]

იესო ხედავს ერთ ოცდათვრამეტი წლიდან
დავრდომილ კაცს და ეკითხება: „გსურს
განიკურნო?“ ესეც პასუხობს, რომ სხვა
არაფერი უნდა ამქვეყნად. მაშინ, უფალი
უბრძანებს, ადგეს. დავრდომილმა არ იცის,
ვისთან აქვს საქმე, მაგრამ უგონებს მას და
აღმოჩნდება განკურნებული!
მადლობა, იესო, სასოებით მიღებული
შენი სიტყვისა და სიყვარულის
ძალმოსილებისათვის.

25 მარტი

2020 ოთხშაბათი

უფლის ხარება, დდ, [ს],თ

(12.III) წმ. მეფე დემეტრე თავდადებული (+1289), წამებული

ეს 7,10-14; 8,10ბ; ფს 39; ებრ 10,4-10; ლკ 1,26-38

ჭიათურის კათოლიკური ეკლესიის დღეობა

წარმოიგზავნა ღვთისაგან გაბრიელ ანგელოზი ქალწულთან ლკ 1,27

დადგა სისავსე ჟამისა: ცოდვაში ჩავარდნილი ქმნილებისათვის მამა ახორციელებს სიყვარულისა და დახსნის ჩანაფიქრს. მან იხილა მარიამის გული, ქალწული და თავისუფალი გული, უპოვარი გული, რომელსაც შეეძლო თანხმობით ეპასუხა მისთვის. გიხაროდენ, მარიამ, დედაო ჩვენო, და შეგვეწიე, ჩვენც „ჰო“ ვუთხრათ მამა ზეციერს: იესო კვლავაც მოვა ჩვენს დასახსნელად!

26 მარტი

დიდმარხვის IV კვირა [IV] ი

2020 ხუთშაბათი

გამ 32,7-14; ფს 105; იო 5,31-47

მ. ემანუელ ვარდიძის გახსენება (+1966)

მე მოვედი მამაჩემის სახელით
და არ მღებულობთ იო 5,43

იესო, არც ერთმა ჩვენგანმა არ დავიმსახუ-
როთ შენგან ეს სიტყვები! შენმა სამწყსომ
არასოდეს ვარჩიოთ შენსა და შენს მწყე-
მსთა ხმას „უცხოთა“ ხმა! ესენი ხომ უფრო
იოლ გზას გვთავაზობენ, მაგრამ ისინი
ვერასოდეს მოგვცემდნენ იმ სიცოცხლეს,
რომელსაც მხოლოდ შენ იძლევი!

27 მარტი

დიდმარხვის IV კვირა [IV] ი

2020 პარასკევი

სიბრძ 2,1.12-22; ფს 33; იო 7,1-2.10.25-30

მიცნობთ მე და იცით, საიდან ვარ იო 7,28

ზოგჯერ იესოზე მცდარი შეხედულება
გვაქვს ხოლმე, მას არ ვიცნობთ
ნამდვილად. იგი გვხედავს ჩვენ თავიდან
ბოლომდე და ძალუძს გაგვანათოს
ჭეშმარიტების სიტყვით. შევთხოვოთ
სულიწმიდას თავმდაბლობის მადლი,
რათა შევიცნოთ, მივიღოთ და შევიყვაროთ
იესო სულ უფრო მეტი ჭეშმარიტებით.

28 მარტი

დიდმარხვის IV კვირა [IV] ი

2020 შაბათი

იერ 11,18-20; ფს 7; იო 7,40-53

ეს ქრისტეა! იო 7,41

ღვთის ძველი აღთქმის ერში, წინააღმდეგობათა მიუხედავად, არიან ისეთებიც, ვინც აღიარებს იესოს სინამდვილეს. ასევე, ეკლესიაშიც არიან მისი, ღვთის მხოლოდშობილი ძის მორწმუნენი, მაგრამ არიან დაეჭვებულნიც, ვინც უგულებელყოფს და ხელსაც კი უშლის მას. მეც ვცდილობ ვიწამო, შინაგანი და გარეგანი წინააღმდეგობების დაძლევით.
იესო, შენა ხარ ჩემი უფალი!

29 მარტი

2020 კვირა

დიდმარხვის V კვირადღე, «ა», [I], ი

ეზეკ 37,12-14; ფს 129; რომ 8,8-11; იო 11,1-45

მამაო, გმადლობ, რომ მისმინე იო 11,41

იესო მადლობას სწირავს მამას: მისგან
მიიღო მან ძალა სიცოცხლისკენ
მოებრუნებინა მეგობარი ლაზარე. თუმცა,
მეტიც: მისგან ღებულობს ძალაუფლებას
სიკვდილისაგან თავისუფალი
სიცოცხლე მიანიჭოს ყოველ ადამიანს,
ვინც ღებულობს მას, ვინც ღებულობს
მას ფხვარცმულსა და აღმდგარს. მეც
მადლობას გიძღვნი, იესოს მამავ!

30 მარტი

2020 ორშაბათი

დან 13,1-9.15-17.19-30.33-62; ფს 22; იო 8,1-11

მე მის სისხლში არ მიდევს ბრალი დან 13,46

ერთ გათხოვილ და ღვთისმოშიშ ებრაელ ქალს ცილს სწამებს ორი კაცი, რომლებსაც მასთან ხორციელი სიახლოვე სწადდათ და რომლისაგანაც უარი მიიღეს. სიკვდილით ისჯება უსამართლოდ. ღმერთი შთააგონებს ერთ ყმაწვილს, ხმა აიმაღლოს მოსამართლის გადაწყვეტილების წინააღმდეგ და ბრალმდებლები გამოიკვლიოს. ამგვარად დადასტურდა ქალის, სუსანას უდანაშაულობა.

მადლობა, მამაო, რომ ისმენ
უდანაშაულოთა ღაღადს და იხსნი მათ.

31 მარტი

დიდმარხვის V კვირა [I] ი

2020 სამშაბათი

რიცხ 21,4-9; ფს 101; იო 8,21-30

ჩემი მომავლინებელი ჩემთანაა იო 8,29

იესო ელაპარაკება იმ ხალხს, რომლებიც ვერ ღებულობენ მას; ცდილობს განუცხადოს მათ, რომ იგი ღვთის ძეა და მოწმობს, რომ მამა მასთანაა და უყვარს იგი. მადლობა, იესო, იმ მოთმინებისა და სიყვარულისათვის, რომლითაც ექცევი შენს მტრებსაც.